კერძო სამართალი

კაზუსი 1

სს „ქართულმა ბანკმა“ და ლელა ხუციშვილმა დადეს საბანკო კრედიტის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, ლელა ხუციშვილზე გაიცა კრედიტი 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, ყოველწლიური 14%-ის გადახდევინებით. ხელშეკრულებაში, რომელიც სტანდარტული პირობების მქონეს წარმოადგენდა, არსებობდა ერთი პირობა, სადაც მითითებული იყო შემდეგი: სს „ქართულ ბანკს“ ნებისმიერ დროს შეეძლო, გაეზარდა ყოველწლიური პროცენტი შეხედულებისამებრ, ლელა ხუციშვილთან შეთანხმების გარეშე, ცალმხრივად.

ბანკმა 2019 წლის 17 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაეზარდა ცალმხრივად პროცენტი 17%-მდე. შესაბამისად, შეატყობინა აღნიშნულის თაობაზე ლელა ხუციშვილს. ლელა ხუციშვილს არ ესიამოვნა ბანკის მოქმედება და გადაწყვიტა, რომ სამართლებრივად მიდგომოდა საკითხს.

ბანკმა უპასუხა ლელა ხუციშვილს, რომ რადგან ხელშეკრულება იყო ხელმოწერილი, მათ შორის რაიმე მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ბანკს უნდა შეეცვალა პოზიცია, არ იქნებოდა ლოგიკური. შესაბამისად, ბანკი არ დაეთანხმა ლელა ხუციშვილის შეხედულებას.

შეკითხვა: ლელა ხუციშვილი მოდის თქვენთან და ჭირდება იურიდიული დახმარება. დააკვალიფიცირეთ გარემოება და ჩამოაყალიბეთ პოზიცია, თუ რისი უფლებები გააჩნია ლელა ხუციშვილს და რამდენად მართებულია ბანკის ქმედება.

კაზუსი 2

ანა ფიჩხაიას სარჩელი ჰქონდა შეტანილი ნინო ერემაძის მიმართ. დავა ეხებოდა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას. კერძოდ, ნინო ერემაძე იმყოფებოდა ანა ფიჩხაიას კუთვნილ სახლში ისე, რომ არ გააჩნდა ამის სამართლებრივი საფუძველი. პირველი ინსტანციის სასამართლოში ანა ფიჩხაიამ საქმე მოიგო, რის შედეგადაც ნინო ერემაძემ მიმართა სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო საჩივრით.

სააპელაციო ინსტანციაში განხილვის დროს, ანა ფიჩხაიამ გაყიდა სახლი დავით ლოსაბერიძეზე. შესაბამისად, დავით ლოსაბერიძემ მოინდომა სასამართლოსადმი მიმართვა და ნინო ერემაძის სახლიდან გამოსახლება.

იმის გათვალისწინებით, რომ დავით ლოსაბერიძე ბოლომდე გარკვეული არ იყო დეტალებში, მან ახლიდან მიმართა სასამართლოს (პირველ ინსტანციაში) ნინო ერემაძის წინააღმდეგ და მოითხოვა მისი სახლიდან გამოსახლება. ამ დროს, აპელაციაში დავა ჩვეულებრივად მიმდინარეობდა. მეტიც, ჩანიშნული იყო პროცესი 2019 წლის 30 აგვისტოს. ამ დღეს არც ანა ფიჩხაია და არც დავით ლოსაბერიძე არ გამოცხადნენ პროცესზე. შესაბამისად, სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება ნინო ერემაძის მიმართ. ამ დროს, საქმის განხილვა უკვე ჩაინიშნა პირველი ინსტანციით.

შეკითხვა: დაასაბუთეთ საქმის ვითარება და დააკვალიფიცირეთ: ა) რა სამართლებრივი წინაპირობანი გააჩნია დავით ლოსაბერიძეს პირველი ინსტანციის სასამართლოში და ბ) შესაბამისად, რა ნორმაზე დაყრდნობით მოახერხებს თავისი პოზიციის დაცვას ნინო ერემაძე პირველი ინსტანციის სასამართლოში.

საჯარო სამართალი (საკონსტიტუციო სამართალი)

კაზუსი 1

საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში. ცვლილებების მიხედვით, საქართველოს ის მოქალაქეები, რომელთა წლიური შემოსავალი 1 მილიონ ლარზე მეტია, დადგენილ საშემოსავლო გადასახადზე 2%-ით მეტს გადაიხდიან. ამ თანხით საქართველოს მთავრობა გეგმავს სოციალურად შეჭირვებულთა დახმარების პროგრამების დაფინანსებას.

საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე მხეიძემ, რომლის წლიური შემოსავალი რამდენიმე მილიონს აჭარბებს, საკანონმდებლო ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.

შეაფასეთ შემთხვევა.

კაზუსი 2

პოლიტიკური პარტიის სიით გასულმა პარლამენტის წევრმა დატოვა პოლიტიკური პარტია, რის გამოც მას, პარტიის წარდგინებით, პარლამენტმა უფლებამოსილება შეუწყვიტა. პარლამენტის წევრი უკმაყოფილოა გადაწყვეტილებით და იგი საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება უკანონოდ მიიჩნია და გააუქმა. პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, უზენაესი სასამართლოს ქმედებები არაკონსტიტუციურია და მისი გადაწყვეტილებით, დაიწყო იმპიჩმენტის პროცედურა უზენაესი სასამართლოს თამჯდომარისა და მოსამართლეების მიმართ.

შეაფასეთ შემთხვევა.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

საჯარო სამართალი (ადმინისტრაციული სამართალი)

<u>კაზუსი 1</u>

2013 წლის 03 თებერვალს მოსარჩელე გია ლოლუამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე ქალაქ თბილისის მერიის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის მიერ 2013 წლის 25 იანვრს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, მერის განკარგულების ბათილად ცნობა. ასევე მოითხოვა სარჩელის წარმოებაში მიღება, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება ვინაიდან წარმოადგენდა სოციალურად დაუცველ პირს (იღებდა შემწეობას) და ქალაქ თბილისის მერის საქმეში მესამე პირად ჩაბმა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო, მოსარჩელე გაათავისუფლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან და დანიშნა მთავარი სხდომა. სასამართლო სხდომაზე მოპასუხე ქალაქ თბილისის მერიამ სასამართლოში თავის წარმომადგენლად დანიშნა ადვოკატი. მოსამართლემ ადვოკატი არ დაუშვა საქმის განხილვაზე იმ საფუძვლით, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში თავის წარმომადგენლად დანიშნოს მხოლოდ ის პირი, რომელიც ამ ადმინისტრაციულ ორგანოში მსახურობს. სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩელეს ქალაქ თბილისის მერის მესამე პირად ჩაბმაზე.

მოგვიანებით ამავე სხდომაზე, მოსარჩელე გია ლოლუამ უარი განაცხადა სარჩელზე და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა. სასამართლო არ დაეთანხმა ფიზიკური პირის მიერ სარჩელზე უარის თქმას, იმ მოტივით, რომ ფიზიკური პირის მიერ სარჩელზე უარის თქმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონმდებლობას, გააგრძელა საქმის განხილვა და არ დააკმაყოფილა სარჩელი.

შეაფასეთ სასამართლოს მოქმედება, როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, პასუხი დაასაბუთეთ.

<u>კაზუსი 2</u>

„ა“ 2003 წლიდან იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კურორტ ბახმაროში ალპურ საძოვარს (596 680 კვ.მ.). 21.03.11წ. განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების სამმართველოს და იჯარით აღებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება მოითხოვა, რაზეც 19.04.11წ. №1-3/23 ბრძანებით უარი ეთქვა. სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების სამმართველოს 19.04.11წ. №1-3/23 ბრძანებით. ბრძანება 29.04.11წ. გაასაჩივრა ეკონომიკის სამინისტროში, რომელმაც ადმინისტრაციული საჩივარი 31.05.11წ. წარმოებაში მიიღო, ზეპირი სხდომა დაინიშნა 14.06.11წ, რომელსაც ესწრებოდა მოსარჩელის წარმომადგენელიც. მას განემარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების შესახებ ეცნობებოდა წერილობით. ვინაიდან ზეპირი მოსმენის ჩატარებიდან 5 თვის განმავლობაში არანაირი შეტყობინება არ მიუღიათ, 28.11.11წ. წერილობით მიმართეს ეკონომიკის სამინისტროს და მოითხოვეს მათი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგების შესახებ ინფორმაცია, რომლის პასუხად სამინისტრიდან მიიღეს 30.11.11წ. წერილი, სადაც მითითებულია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი საჩივრდება სზაკ-ის მე-13 თავით დადგენილი წესით.

1. იმსჯელეთ ჰქონდა თუ არა ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოს გამოეცა შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი?
2. მოსარჩელემ იმის გამო, რომ არ არის მის ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილება მიღებული ვერ გაიგო აქვს თუ არა სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, არის თუ არა ეს გარემოება სარჩელის სასამართლოში შეტანისთვის დამაბრკოლებელი?
3. დაეხმარეთ მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის ჩამოყალიბებაში და თქვენი აზრი დაასაბუთეთ.

სისხლის სამართალი

კაზუსი 1

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ხოჯავამ დააკმაყოფილა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორის, დანელიას შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ და ბრალდებულებს: კორკოტაძეს, ბერაძეს, ლოლაშვილსა და ღლონტს შეუფარდა პატიმრობა.

შუამდგომლობა და მის საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო იმით, რომ ბრალდებულები შესაძლოა მიმალულიყვნენ ან ხელი შეეშალათ გამოძიებისთვის მტკიცებულებათა მოპოვების საქმეში.

პროკურორის შუამდგომლობაში არაფერი იყო ნათქვამი მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობას და სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეუწონლობის შესახებ. პროკურორის შუამდგომლობასა და სასამართლოს გაჩინებაში ასევე არ იყო მითითებული, შესაძლებელი იყო თუ არა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მიღწევა სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

მოსამართლემ ყურადღება არ მიაქცია ადვოკატ მდინარაძის შუამდგომლობას, რომელიც მოითხოვდა ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებას იმ საფუძვლით, რომ პროკურორის შუამდგომლობაში მითითებული გარემოებები ბრალდებულთა შესაძლო მიმალვისა და გამოძიებისთვის ხელის შეშლის შესახებ მხოლოდ პირად მოსაზრებებსა და ვარაუდებზე იყო დაყრდნობილი, ხოლო აღნიშნულის დამადასტურებელი ფაქტობრივი მონაცემები საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა.

მიეცით ამ შემთხვევას სამართლებრივი შეფასება.

კაზუსი 2

დავითს სურდა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, თუმცა იმისთვის, რომ მას ეს მოეხერხებინა საჭირო იყო გიორგის ნებართვა, რომელიც იმავე მიწის მონაკვეთზე ცხოვრობდა, სადაც გიორგის სახლის მშენებლობა უნდოდა. გიორგი დავითს თანხმობის მიცემაზე გამუდმებით უარს ეუბნებოდა. ამაზე განაწყენებულმა დავითმა შელაპარაკების დროს გიორგის მოკვლის განზრახვით მუცლის არეში დანით შემავალი ტიპის რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. აღნიშნულის შემხედვარე დავითს შეეშინდა და სასწრაფოს გამოუძახა. მართალია სამედიცინო ჩარევა დროული იყო, მაგრამ ოპერაციის დროს ექიმის სამედიცინო შეცდომის გამო გიორგი დაიღუპა.

დავითს განზრახ მკლელობაში დაედო ბრალი. მან თავი იმით იმართლა, რომ გიორგის სიკვდილი არა მისმა ქმედებამ, არამედ ექიმის ქმედებამ გამოიწვია და სწორედ ამიტომ წარდგენილ ბრალდებაში იგი თავს დამნაშავედ არ ცნობდა.

იმსჯელეთ დაისჯება თუ არა დავითი დამთავრებული განზრახ მკლელობისთვის?